



იანვარი, 2009 წ.

ქვეყანაში არსებული
ვითარების მოკლე მიმოხილვა

საქართველო

2008 წლის მეორე ნახევარში საქართველოში მოვლენებს ძირითადად სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონთან დაკავშირებით აგვისტოში განვითარებული კონფლიქტი განაპირობებდა. კონფლიქტის ყველა მხარემ ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევები ჩაიდინა. საქართველოს ხელისუფლებამ გამოიყენა არადამიზნებადი იარაღი, მათ შორის კასეტური ბომბები.

საქართველოს ხელისუფლებამ გადამეტებული ძალის გამოყენების წარსულში მომხდარი შემთხვევები საფუძვლიანად არ გამოიძია. ხელისუფლებამ შეამცირა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის დადგენილი მინიმალური ასაკობრივი ზღვარი, თუმცა არ გადაუჭრია საპატიმროების გადატვირთვისა და ცუდი პირობების საკითხი.

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი

ქართულ და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის თვეების განმავლობაში დაძაბულობის ზრდისა და შეტაკებების შემდეგ საქართველომ 7-8 აგვისტოს ღამე წამოიწყო სამხედრო შეტევა ცხინვალზე – სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონის დედაქალაქზე. რუსეთმა სამხრეთ ოსეთში მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები შემოიყვანა და საქართველოს საჯარისო ნაწილები აიძულა, უკან დაეხიათ. რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ჯარებმა ქართულ ჯარებს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მისდიეს. 10 ოქტომბრამდე მათ საქართველოს არასადავო ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილები ჰქონდათ ოკუპირებული. რუსეთის ჯარები მეორე სეპარატისტულ რეგიონში – აფხაზეთშიც შევიდნენ.

ყველა მხარემ ჩაიდინა ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევები (ინილეთ, აგრეთვე, რუსეთისადმი მიძღვნილი თავი), რასაც მოჰყვა მრავალი მშვიდობიანი ადამიანის დაღუპვა და დაშავება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი

კომისარიატის შეფასებით, კონფლიქტის შედეგად საცხოვრებელი ადგილები დატოვა 133 000-მა ადამიანმა, თუმცა მათი სულ მცირე 80 პროცენტი ამჟამად საკუთარ სახლებში დაბრუნდა. მაგრამ ათასობით ქართველი სამხრეთ ოსეთიდან ჯერ ისევ იძულებით გადაადგილებული პირია.

სამხრეთ ოსეთზე განხორციელებული შეტევის დროს ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს არადამიზნებადი იარაღი, ისინი ისროდნენ „გრადის“ ტიპის რაკეტმტყორცნიებიდან – არადამიზნებადი იარაღიდან, რომელიც სამოქალაქო პირებით დასახლებულ ადგილებში არ უნდა იქნეს გამოყენებული. საქართველოს შეიარაღებული ძალები ტანკებიდან და ავტომატებიდან ესროდნენ ცხინვალში მდებარე შენობებს, მათ შორის საცხოვრებელ სახლებს, სადაც თავს აფარებდა მშვიდობიანი მოსახლეობა; ოსური შეიარაღებული ძალები რამდენიმე ამ სახლიდან ესროდნენ ქართულ ჯარს.

ქართულმა საჯარისო ნაწილებმა რუსული ჯარის წინააღმდეგ კასეტური შეიარაღებაც გამოიყენეს, მათ შორის საქართველოს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ესაზღვრება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარს და დასახლებულია მშვიდობიანი მოსახლეობით. კასეტური შეიარაღება არის არადამიზნებადი იარაღი, რომელიც დაუშვებელ სამოქალაქო მსხვერპლს იწვევს. ზოგიერთი სამოქალაქო პირი დაიღუპა ან დაშავდა როგორც ქართველების, ისე რუსების მიერ გასროლილი და აუფეთქებელი ჭურვების, მათ შორის კასეტური ჭურვების, შემდგომ პერიოდში აფეთქების შედეგად.

კონფლიქტის დროს დაკავებული ოსი ეროვნების ზოგი პირი უჩიოდა ცუდ მოპყრობას საქართველოს საპყრობილებებში გადაყვანისას.

გადამეტებული ძალის გამოყენების გამო არასაკმარისი პასუხისგება

მიუხედავად მთავარი საერთშორისო მოთამაშეების, მათ შორის შეერთებული შტატებისა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, არაერთი მოწოდებისა, ხელისუფლებამ უარი განაცხადა, ჩაეტარებინა 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების ყოვლისმომცველი გამოძიება, როდესაც პოლიციამ გამოიყენა გადამეტებული ძალა ძირითადად მშვიდობიანი პოლიტიკური დემონსტრაციების დროს დედაქალაქ თბილისში, რის შედეგადაც დაშავდა სულ მცირე 500 ადამიანი. ხელისუფლებამ წამოიწყო გადამეტებული ძალის შესაძლო გამოყენების მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ფაქტების გამოძიება. დამოუკიდებელ სატელევიზიო სადგურ „იმედს“ მან 2,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კომპენსაცია გადაუხადა 7 ნოემბერს

განხორციელებული რეიდის დროს აპარატურისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

ხელისუფლებას არც 2006 წლის მარტში თბილისის მე-5 საპყრობილეში მომხდარი აჯანყების ჩასახშობად განხორციელებული ოპერაციის (რომლის შედეგადაც დაიღუპა შვიდი და დაშავდა მრავალი პატიმარი) საფუძვლიანი გამოძიება ჩაუტარებია.

სისხლის სამართლის სისტემა

ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ციხეებში პატიმრების გადაჭარბებული რაოდენობის შესამცირებლად. ამ ნაბიჯებს განეკუთვნებოდა 2008 წელს გამოცემული ორი საპრეზიდენტო შეწყალება და ამნისტია, აგრეთვე გლდანში ახალი ციხის გახსნა. მაგრამ აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობისთვის ზედმეტად ხშირად მიმართვა ხელს უწყობს პატიმრების მუდმივ სიჭარბეს ციხეებში. 2008 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით პატიმრების საერთო რაოდენობა ციხეებში 19,929 იყო – ეს არის 50 პროცენტით ზრდა ორი წლის განმავლობაში. მარტში ხელისუფლებამ დახურა ავადსახსენებელი თბილისის მე-5 საპყრობილე, რომელიც არაერთხელ გააკრიტიკეს ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა და ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა პატიმრების სიჭარბისა და გაუსაძლისი საარსებო პირობების გამო. საარსებო პირობები კვლავ არაადამაკმაყოფილებელია ბევრ ციხეში, გრძელდება პატიმრების ჩივილი ცუდ მოპყრობასთან დაკავშირებით, მათ შორის გლდანის ახალ ციხეშიც.

2007 წელს ხელისუფლებამ 14-დან 12 წლამდე შეამცირა პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი სისხლის სამართლის გარკვეული დანაშაულების ჩადენის გამო, რაც უფრო მეტად ასუსტებს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების დაცვის მექანიზმებს. ახალი მინიმალური ასაკი ძალაში შევიდა 2008 წლის ივლისში. თუმცა იუსტიციის მინისტრმა გამოაცხადა მორატორიუმი ამ კანონის აღსრულებაზე მანამდე, სანამ არ შეიქმნება ცალკე მართლმსაჯულების სისტემა მცირეწლოვანი დამნაშავეებისათვის. გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა საქართველოში არსებული მდგომარეობის ივნისის მიმოხილვაში გამოთქვა „დიდი სინანული“ ახალი მინიმალური ასაკობრივი ზღვარის შემოღების გამო და ხელისუფლებას მოუწოდა, მინიმალურ ასაკად 14 წელი აღადგინოს.

ოქტომბერში პარლამენტმა მიიღო შესწორებები, რომლებიც გულისხმობდა სასამართლო სისტემის რესტრუქტურისა და პრობაციისა და სასჯელაღსრულების სისტემის სამინისტროს შექმნას და გენერალური პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს გაერთიანებას. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრობლემა საქართველოში დიდი ხანია არსებობს; ზემოხსენებული სტრუქტურების გაერთიანება წარმოქმნის სასამართლო სისტემის შემდგომი შესუსტების რისკს.

არჩევნები

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპარლამენტის ერთობლივმა სადამკვირვებლო მისიებმა 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები აღიარეს „პირველ ნამდვილად კონკურენტულ საპრეზიდენტო არჩევნებად“ საქართველოში და აღნიშნეს, რომ როგორც ეს არჩევნები, ასევე მაისის საპარლამენტო არჩევნები არსებითად შეესაბამებოდნენ საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა დამკვირვებლები მიუთითებდნენ დარღვევებზე, მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნების დროს მრავლად იყო საჩივრები ზეწოლასთან, მათ შორის საჯარო მოხელეებზე და ოპოზიციის აქტივისტებზე განხორციელებულ ზეწოლასთან, დაკავშირებით, აგრეთვე ორივე არჩევნების დროს ხმების დათვლის და მონაცემთა კლასიფიცირების პროცესში დაშვებულ დარღვევებზე. დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ სატელევიზიო არხების უმეტესობაზე საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქება არ იყო დაბალანსებული: პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ყველაზე მეტი დრო ეთმობოდა.

მედის თავისუფლება

მედისივრცე კვლავ არაერთგვაროვანია – ბეჭდვითი მედია აქტიურია, მაგრამ საინფორმაციო ტელემაუწყებლობა სულ უფრო იზღუდება სავარაუდოდ ხელისუფლების ზეწოლის შედეგად. წლის განმავლობაში მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი არხი და ხელისუფლების მხარდამჭერი „რუსთავი-2“ მაუწყებლობდნენ ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო პროგრამებს.

7 ნოემბრის მოვლენების დროს დახურვის შემდეგ კერძო ტელეარხმა „იმედმა“ 2007 წლის 12 დეკემბერს განაახლა მაუწყებლობა, თუმცა ორი კვირის შემდეგ ისევ შეაჩერა, რის მიზეზადაც ხელისუფლების და „იმედის“ თანამფლობელის მხრიდან ზეწოლა დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის მაისში „იმედი“ კვლავ

გავიდა ეთერში, საინფორმაციო გამოშვებები მან მხოლოდ სექტემბერში განაახლა. იენისში დამოუკიდებელმა სატელევიზიო არხმა „მზემ“, რომელიც ხელისუფლების მხარდამჭერ არხად მიიჩნეოდა, შეაჩერა საინფორმაციო გამოშვებები, თითქოსდა არხის რეორგანიზაციის გამო. საკაბელო სატელევიზიო არხმა „მაესტრომ“ წარმატებით გაასაჩივრა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც მას ჩამოერთვა ლიცენზია საინფორმაციო პროგრამების გადაცემაზე.

დამოუკიდებელმა სატელევიზიო არხმა „კავკასიამ“ ორჯერ განიცადა სატელევიზიო ეთერის საეჭვო შეფერხება, მათ შორის 1 სექტემბრის გადაცემის მსვლელობისას, სადაც ისმოდა სამხრეთ ოსეთის გამო მომხდარი კონფლიქტის დროს საქართველოს ხელისუფლების მოქმედებების კრიტიკა. „კავკასიის“ დირექტორმა ეჭვქვეშ დააყენა ეთერის გაწყვეტის ტექნიკური მიზეზებით ახსნა. „კავკასიამ“ აგრეთვე განაცხადა, თითქოსდა ფინანსური პოლიცია ზეწოლას ახორციელებდა იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც არხზე სარეკლამო დროს იძენდნენ.

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს საქართველოს ხელისუფლებამ დაბლოკა რუსული საკაბელო სატელევიზიო არხები და ვებგვერდები.

ჟურნალისტები აცხადებდნენ მათზე განხორციელებული ზეწოლის და თავდასხმის ფაქტების შესახებ, მათ შორის არჩევნების დროსაც. ხელისუფლების ერთი მხარდამჭერი საპრეზიდენტო არჩევნების დღეს თავს დაესხა რადიო „ჭერეთის“ კორესპონდენტს ხათუნა გოგიშვილს, წაართვა ხმის ჩამწერი აპარატი, მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და მოკვლით დაემუქრა. თებერვალში დამოუკიდებელმა ჟურნალისტმა გელა მთივლიშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების წარმომადგენლები უთვალთვალებდნენ და ემუქრებოდნენ მას როგორც არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდეგაც. ჟურნალისტები აცხადებდნენ, რომ მათ ხელს უშლიდნენ პროფესიული მოვალეობის შესრულებაში მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს. მათ შორის იყო რამდენიმე ტელეჟურნალისტი „რუსთავი 2“-დან და „მზიდან“ და ელისო ჩაფიძე – გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორი.

ძირითადი საერთაშორისო აქტორები

სამხეთ ოსეთის გამო მომხდარი კონფლიქტის დროს საერთაშორისო საზოგადოება ყველა მხარეს თავშეკავებისკენ ერთხმად მოუწოდებდა, თუმცა არასაკმარისად ამხვილებდა ყურადღებას ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული

სამართლის ნორმების დაცვაზე, აგრეთვე, მათი დარღვევების გამჭვირვალედ გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯაზე და ამასთან დაკავშირებით მხარეთა ვალდებულებებზე.

კონფლიქტის საპასუხოდ საქართველოს საგანგებო მისიებით ეწვივნენ ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, გაერო-ს ლტოლვილთა საკითხების უმაღლესი კომისარი, გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელი დევნილთა უფლებების დაცვის საკითხებში, ევროპის საბჭოს კომისარი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, გაერო-ს ჰუმანიტარული საქმეების საკოორდინაციო ოფისი და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა.

ევროკავშირის პრეზიდენტობის მქონე ქვეყნის საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზის ჩარევის შედეგად მიღწეული იქნა ექსპუნქტიან სამშვიდობო გეგმაზე შეთანხმება რუსეთსა და საქართველოს შორის. ევროკავშირმა დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში არსებული კრიზისის საკითხებში ოქტომბრის მოლაპარაკების მოსამზადებლად. ამ მოლაპარაკებას უნდა გაძლოდნენ გაერო, ეუთო და ევროკავშირი. მოლაპარაკების მიზანი იყო საქართველოს და რუსეთს შორის არსებული დაძაბული სიტუაციის განმუხტვა. მოლაპარაკებები პირველსავე დღეს ჩიხში შევიდა და მისი განახლება გადაწყდა ნოემბრის შუა რიცხვებში. ოქტომბერში ევროკავშირმა საქართველოში ევროპის თავდაცვისა და უშიშროების პოლიტიკის ფარგლებში 200-ზე მეტი შეუიარაღებელი დამკვირვებელი მოავლინა. 22 ოქტომბერს ევროკავშირმა და მსოფლიო ბანკმა უმასპინძლეს დონორთა კონფერენციას სამ წელიწადზე გათვლილი 660 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დახმარების პაკეტის მხარდასაჭერად, რომლის მიზანია რეკონსტრუქციის, ეკონომიკური განახლებისა და დევნილთა დახმარების აღმოჩენა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ გამოსცეს გადაწყვეტილებები მოწოდებით ყველა მხარისადმი, შეასრულონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (რომლის მონაწილე სახელმწიფო საქართველოც არის) განცხადებით, კონფლიქტის ყველა მხარის მიერ ჩადენილი დანაშაულები განიხილება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის მიერ.

ოქტომბერში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც იგი აცხადებს, რომ როგორც საქართველომ, ასევე რუსეთმა დაარღვიეს ევროსაბჭოს პრინციპები, და მოითხოვს საერთაშორისო გამოძიების ჩატარებას.

კონფლიქტის შემდეგ ეუთო-ს მისიამ საქართველოში გაზარდა სამხედრო დამკვირვებელთა რაოდენობა, მაგრამ რუსეთმა ისინი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არ შეუშვა.

სექტემბერში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაამტკიცა საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარება, რომლის საერთო ოდენობამ შეიძლება 1 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწიოს ორი წლის განმავლობაში – თანხას, რომელიც 30-ჯერ აღემატება აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გასულ წელს გამოყოფილ დახმარებას. ოქტომბერში საქართველოში ვიზიტის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დენიელ ფრიდმა განაცხადა, რომ საქართველოსთვის კვლავ შესაძლებელია ნატო-ს წევრობა, თუმცა ქვეყანამ მეტი ძალისხმევა უნდა მიმართოს დემოკრატიული ინსტიტუტების, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელი მედიისა და სასამართლო სისტემის, გასაძლიერებლად.